ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 48252794

თარიღი:06/10/2025

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურში თანამშრომელთა ჯგუფის შექმნის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 ივლისის N №48. 482319216 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61 – ე მუხლის მე – 3 ნაწილის ,,ა'' პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.შეტანილ იქნას ცვლილება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურში თანამშრომელთა ჯგუფის შექმნის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 ივლისის N №48. 482319216 ბრძანებაში და ამ ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. შეიქმნას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურში თანამშრომელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

იონა ჯოჯუა - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი ფუნქციების დროებით შემსრულებელი, ჯგუფის უფროსი;

მამუკა გელენიძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2
221274546

ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ლევანი ბოკელავაძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

კობა გოგიძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მდივანი)".

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გია კვასტიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

221274546

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი